

სვამი ვივეკანანდა

ძველი ინდური ფილოსოფია

(1894-1897 წლებში ჩიკაგოსა და ლონდონში წაკითხული ლექციები)

მესამე გამოცემა — შესწორებებითა და დამატებებით

ინგლისურიდან თარგმნა და წინასიტყვაობა
დაურთო **ნიკოლოზ კენჭოშვილმა**

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი – 2020

მთარგმნელი: ნიკოლოზ კენჭოშვილი

გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2020 წელი

ვებ-გვერდი: akti.ge

© ნიკოლოზ კენჭოშვილი

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-2552-1

სარჩევი

მთარგმნელისაგან	5
-----------------------	---

ქველი ინდური ფილოსოფია

სვამი ვივეკანანდას ლექციების წინათქმა	15
სანქჰია და კოსმოლოგია (ლექცია პირველი)	22
პრაკრიტი და პურუშა (ლექცია მეორე)	37
სანქჰია და ადვაიტა (ლექცია მესამე)	53
თავისუფალი გონი (ლექცია მეოთხე)	69
არსებობა ერთისა რომ გვესახება როგორც მრავალი (ლექცია მეხუთე)	86
ინდივიდუალური „მეს“ ერთიანობა (ლექცია მეექვსე)	98
ჯნანა-იოგას უზენაესი იდეალი (ლექცია მეშვიდე)	107
მაია და ილუზია	120
მაია და ღვთის კონცეფცია	141
მაია და სულიერი თავისუფლება	158
გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები.....	170

მთარბმნელისაგან

ცნობილი, თანამედროვე ინდოელი თეოლოგის, სვამი ტაპასიანანდას წიგნი ვივეკანანდას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, იწყება ასე: — „სვამი ვივეკანანდამ გადაარჩინა ჰინდუიზმი და ინდოეთი. რომ არა ვივეკანანდა, ჩვენ დავკარგავდით ჩვენს სარწმუნოებას და ვერც დამოუკიდებლობას მოვიპოვებდით“ — (სვამი ტაპასიანანდა — სვამი ვივეკანანდა, მადრასი 1988 წ. გვ. 1. ინგლისურ ენაზე) ამიტომაც, შემთხვევითი როდია ის გავრცელებული აზრი, რომ ინდოეთი ბრიტანული კოლონიალიზმისაგან იხსნა იმ ძლიერმა სულიერმა სანყისებმა, რომელიც ჩაბუდებულია მის მრავალათასწლოვან რელიგიურ-ფილოსოფიურ ტრადიციაში და დღეს ცნობილია მრავალსახოვანი რელიგიურ-სოციალური ორგანიზაციის — ჰინდუიზმის სახელწოდებით. სვამი ვივეკანანდასა და მის ერთადერთ, სულიერ მასწავლებელს — გურუ პარამაჰანსა რამაკრიშნას შორის, მიუხედავად უსაზღვრო ურთიერთ თაყვანისცემისა, კამათი თეოსოფიურ და თეოლოგიურ საკითხებზე ხშირად უკომპრომისო ხასიათსაც ატარებდა, რაც მსჯელობის ცალკე საგანია. მაგრამ, ერთი კი ცხადია, რომ სვამი ვივეკანანდა თავისი რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნებით, მნიშვნელოვნად გასცდა ტრადიციად ქცეულ წმინდა ინდურ თეოსოფიურ ჩარჩოებს. ის იყო პირველი დიდი ინდოელი მოაზროვნე, რომელმაც მთელ მსოფლიოს გააცნო

ინდური რელიგიის საიდუმლოება და მისი მნიშვნელობა კაცობრიობის სულიერი ცხოვრების, მსოფლიო ფილოსოფიური აზრის ჩამოყალიბებასა და განვითარებისათვის. სხვა ინდოელი მოღვაწეებისაგან განსხვავებით, ვივეკანანდამ შეძლო ინდური (და ზოგადად აღმოსავლური) და დასავლური ფილოსოფიური მსოფლმხედველობების შეპირისპირება, ანუ ე.წ. შედარებითი თეოლოგიის საფუძველზე, წარმოაჩინა (თუმცა, შეფარვით), ინდური, არსობრივად — ვედანტური ფილოსოფიის ერთგვარი, (თუმცა, სადავო) უპირატესობა დასავლურთან მიმართებაში, რათა ინდური მეტაფიზიკური აზრი დასავლეთისათვის უფრო ფართო მეცნიერული გონებაჭვრეტის საგანი გამხდარიყო, რაც ასეც მოხდა და უკვე, XVIII საუკუნის დასაწყისში (ხ.ფ. შლეგელით დაწყებული) ევროპა ძველი ინდური აზროვნების წვდომას შეუდგა. ამიტომაც, წმინდანი ფილოსოფოსის, სვამი (სანსკრიტზე — „დიდად პატივცემულო“, „ბატონო“ და ა.შ. მთ.ნ.კ) ვივეკანანდას ლექციების ციკლი (ინგლისურ ენაზე სტენოგრაფიულად ჩანერილი), რომელიც მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს იქნა წაკითხული ამერიკასა და ლონდონში და გაერთიანებულ იქნა თანამედროვე ინდოელი გამომცემლების მიერ ერთი სათაურით — „რელიგიის მეცნიერება და ფილოსოფია“, რომელიც პირველად ინდოეთში გამოქვეყნდა 1897 წელს, ხოლო მეთერთმეტედ — 1983 წელს ქ. კალკატაში (კალკუტა). ლექციების ეს ციკლი შედგება შვიდი ნაწილისაგან:

1. სანქჰია კოსმოლოგია,
2. პრაკრიტი და პურუშა,
3. პრაკრიტი და ადვაიტა.
4. თავისუფალი გონი.
5. არსებობა ერთისა რომ გვესახება როგორც მრავალი.
6. ინდივიდუალური „მეს“ მთლიანობა.
7. ჯნანა იოგას უზენაესი იდეალი, რომელიც ქართულ ენაზე ჩემ მიერ 1995 წელს ითარგმნა და დაისტამბა.

ამჯერად, მკითხველს ვთავაზობ ვივეკანანდას ამ ლექციების პირველი გამოცემის უფრო ვრცელ განახლებულ ვერსიას, რომელშიც შეტანილია ვივეკანანდას 1894-სა და 1896 წელს,

სვამი ვივეკანდას ლექციების წინათქმა

ჩვენი სამყარო, სამყარო გრძნობებისა, რაციონალური თუ ინტელექტუალური, ერთიმეორეზეა გადაჯაჭვული უსასრულობით, შეუცნობელობითა და მარადჩაუნვდომელით. მიუხედავად ამისა, არსებობს მრავალი ცნობა, ფაქტები და ისეთი რამ, საიდანაც მოდის ნათელი, რომელსაც მსოფლიო იცნობს რელიგიის სახელწოდებით, რაც არსებითად ზემგრძნობელობის საგანია, ვიდრე გრძნობებისა. რელიგია მუდამ გონების თვალსაზრისის მიღმაა და ამიტომაც, არ შეიძლება მისი განხილვა მხოლოდ ინტელექტის ქრილში, რამეთუ, იგი ხედვაა, ზემთაგონება, უცნობისა და შეუცნობადის. მხოლოდ რელიგია ხდის შეუცნობელს უფრო გასაგებს, რამეთუ თავად სამუდამოდ რჩება ამოუცნობი. კაცობრიობის ისტორიის ნებისმიერ ხანაში, რელიგიაში წვდომისათვის ბრძოლის გარეშე, ადამიანი ვერ შეძლებდა აზროვნებას და არც ინტელექტი იარსებებდა როგორც ასეთი. ჩვენს პატარა სამყაროში — გონება რომ ჰქვია, ჩნდება აზრები, მაგრამ არ ვიცით თუ როდის ჩნდება, ან როდის ქრება, ან სად ქრება. მიკრო და მაკრო კოსმოსი უცვლელი რჩება თავისი დინებითა და საფეხურებით და მსგავსად გონებისა, ორივე განიცდის ვიბრაციას.

ჩემს ლექციებში, შევეცდები თქვენ წინაშე ნათლად ავხსნა ჰინდუთა თეორია, რომ რელიგია აღმოცენდა არა „არარაისგან“, არამედ „რალაციისაგან“. ამდენად, დარწმუნებული ვარ, რომ რელიგიური აზრი ადამიანის ყველაზე ღრმა — შინაგან სამყაროში სუფევს. ამიტომაც, ადამიანს ველარ

ძალუძს არ იყოს მორწმუნე, სანამ ბოგინობს, აზროვნებს, სანამ მისი ტანი (ხორცი) და სული ერთმანეთს არ დაშორდება. სანამ ადამიანს შესწევს აზროვნების უნარი, მანამ სარწმუნოებრივი ჭიდილიც გაგრძელდება და ამდენხანსვე, უნდა გააჩნდეს რაიმე სახის სარწმუნოება (რელიგია). ამიტომაც, არსებობს მსოფლიოში მრავალი სახის — სხვადასხვა რელიგია (სარწმუნოება). შესაძლოა, მათ შესწავლას ჩიხში შევყავდეთ და (უმრავლესობის მსგავსად, მეც ასე ვფიქრობ), რომ, მათი შესწავლა უაზრო ჭვრეტაა თეორიებისა. თუმცა, ხშირად, თვით ქაოსშიც არის ჰარმონია და მსჯელობათა დისონანსურ ბგერებშიც კი ერთგვარი თანხმიერება. ადამიანი, თუკი, მზად არის, რომ მას უსმინოს, იგი აპყვება კიდეც ამ ტონალობას. სადღეისოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი არის შემდეგი: — თუკი დამტკიცებულა, რომ შემეცნებული (ამოცნობილი) და შესაცნობი ერთიმეორზე გადაჯაჭულია ჩვენთვის უსასრულოდ (მარადიულად) შეუცნობადით, მაშინ რატომ მივიღტვით გამუდმებით უცნობისაკენ? რად არ ვკმაყოფილდებით უკვე ცნობილით? რად არ ვმშვიდდებით ჭამა-სმით კმაყოფილნი? ან იმ მცირედით, საზოგადოებას რომ ვუკეთებთ? აი, ეს იდეა რჩება ჰაერში. ამიტომაც, დაწყებული ყველაზე განსწავლული პროფესორიდან, დამთავრებული ტიკტიკა ბავშვით, ყველანი მონოდებული ვართ ამ ქვეყანაზე, ვაკეთოდ მხოლოდ სიკეთე, — აი ეს არის რელიგია და აზრი არა აქვს ვიმტვრიოთ თავი მიღმისეულ საკითხებზე, მაგრამ, რადგანაც გადაიქცა იგი ტრუიზმად (საყოველთაო საკითხად), სამწუხაროდ, მაინც უნდა დავსვათ „მიღმისეულის“ საკითხი, რამეთუ გამოვლენილი ანმყო არის მხოლოდ ნაწილი გამოუვლინებელისა (არაგამოვლენილის). გონებით შეცნობადი სამყარო, არის მხოლოდ უმცირესი ნაწილი უსასრულო სულიერი სამყაროსი, რომელიც მგრძნობელობით ქვეცნობიერში ვლინდება. მაგრამ, როგორ უნდა იქნეს ახსნილი თუნდაც ეს მცირე გამოვლენილი, ანუ როგორ უნდა

იქნეს იგი გაგებული, ან როგორ მივხვდეთ რომელია მიღმისეული? ამბობენ, ერთხელ, როდესაც სოკრატე ლექციების წასაკითხად ათენში ჩავიდა, იქ ბრაჰმანს შეხვედრია, რომლისთვისაც სოკრატეს უთქვამს, რომ კაცობრიობისათვის ყველაზე ძვირფასი არის ადამიანიო. ბრაჰმანი ფილოსოფოსს შეწინააღმდეგებია: — საიდან იცი რა არის ადამიანი, სანამ არ იცი რა არის ღმერთიო?!

ღმერთი კი არსებითად შეუცნობადია. აბსოლუტური, ან უსასრულო, ან უსახელო, რაც გნებავთ ის უწოდეთ, მაგრამ ის მაინც, რაციონალურია და წარმოადგენს ერთადერთ ახსნას იმისა, რაც ცნობილია და შეცნობადი, ანმყო სიცოცხლეში. ავიღოთ ნებისმიერი რამ, თუნდაც ყველაზე მატერიალისტური მეცნიერება — ქიმია, ან ფიზიკა, ასტრონომია, ან ბიოლოგია, შეისწავლეთ, დაიწყეთ რომელიმე მათგანში ჩაღრმავება და დაინახავთ, რომ მოცულობით ელემენტები (ფორმები), თანდათან დაიწყებენ შემცირებას, დნობას და თუ როგორ იქცევიან ისინი სულ უფრო და უფრო მცირე ნაწილაკებად მანამდე, სანამ არ მიხვალთ იმ დასკვნამდე, რომ თქვენ იძულებული ხართ გააკეთოთ დიდი ნახტომი — ამ მატერიალური ელემენტებიდან არამატერიალურზე, თუმცა კი, ამ დროს ხედავთ, რომ ელემენტები იწყებენ დაშლას კიდევ უფრო პატარა ნაწილაკებად, და რომ ფიზიკა მეტაფიზიკად იქცევა — ასე ხდება ცოდნის ნებისმიერ სფეროში. ამგავარად, ადამიანი ხედავს, რომ თავისთავად მიიღტვის მიღმისეულისაკენ. ჩვენი ცხოვრება იქნებოდა ვრცელი უდაბნო, სიცოცხლე კი მხოლოდ ფუჭი, უნაყოფო არარაობა, რომ არ შეგვეძლოს წვდომა მიღმისეულის.

ო, რა დიდებულია, რომ თქვა — მე ანმყოთითაც კმაყოფილი ვარ, მაგრამ ასე ხომ ძროხები, ძაღლები და სხვა ცხოველები არსებობენ, რადგან სწორედ ასეთი არსებობა ქმნის მათ ცხოველად. ამგვარად, თუ ადამიანი ანმყოთი თვით-კმაყოფილებას მიეცემა და თავს მიაწვდის მიღმისეულის